



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010126675448018

10 / მაისი / 2018 წ.
№ 397/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით N127(ლოტიN01; N02;N03; N04; N05; N06; N07; N08; N09; N10; N11; N12 ;N13 და N14) ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 აპრილის №821 განკარგულების, შპს "ვიონი საქართველო"-ს (ყოფილი შპს "მობიტელი"-ს) 2017 წლის 05 ოქტომბრის N984/17, 2018 წლის 29 იანვრის №71/18, 02 მარტის №358/18 წერილებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 03 მაისის N8643/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N127 (ლოტიN01; N02;N03; N04; N05; N06; N07; N08; N09; N10; N11; N12 ;N13 და N14) კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

ლოტი N1- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კახეთის სატყეო სამსახურის ახმეტის სატყეო უბნის, ქისტაურის სატყეოს კვარტალი N12, ლიტერი N36-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N50.24.31.054) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N 2- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კახეთის სატყეო სამსახურის საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის, ბაკურციხის სატყეოს კვარტალი N5, ლიტერი N25-ში მდებარე 120 მ² (საკადასტრო კოდი: N51.27.52.027) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N3 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის, ვანის სატყეოს კვარტალი N7, ლიტერი N10-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N31.18.24.006) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N4 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის, ზეინდარის სატყეოს კვარტალი N31-ის ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 151 მ²

(საკადასტრო კოდი: N31.12.21.147) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N5 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის ბორითის სატყეოს კვარტალი N24, ლიტერი N30-ში მდებარე 136 მ² (საკადასტრო კოდი: N36.03.39.017) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N6 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის ზვარეს სატყეოს კვარტალი N3, ლიტერი N12-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N36.15.33.172) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N7- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის სამტრედიის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N34.10.52.009) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N8 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იმერეთის სატყეო სამსახურის ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის ხრეთის სატყეოს კვარტალ №17 ლიტერ №5-ში მდებარე 225 მ² (საკადასტრო კოდი: N38.02.33.001) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N9 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ცაგერის სატყეო უბნის ქულბაქის სატყეოს კვარტალ №44 ლიტერ №4-ში მდებარე 60 მ² (საკადასტრო კოდი: N89.09.22.003) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N10- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის ბარისახოს სატყეო უბნის თვალის სატყეოს კვარტალ №70-ის მიმდებარედ არსებულ ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N71.52.05.033) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N11 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ამბროლაურის სატყეო უბნის თლუღის სატყეოს კვარტალ №32 ლიტერ №4 -ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N86.12.25.115) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N12- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მესტიის სატყეო უბნის ბეჩოს სატყეოს კვარტალ №22 ლიტერ №6 -ში მდებარე 137 მ² (საკადასტრო კოდი: N42.11.31.007) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N13- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მესტიის სატყეო უბნის მესტიის სატყეოს კვარტალ №35 ლიტერ №19 -ში მდებარე 146 მ² (საკადასტრო კოდი: N42.06.49.114) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N14- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის ხაიშის სატყეო უბნის ჭუბერის სატყეოს კვარტალ №98 ლიტერ №4ა -ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N42.15.35.021) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 და N2 დანართების შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რევიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ხაბეიშვილი) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი



ნათია იორდანიშვილი